სუბუტექსი მთელ მსოფლიოში ჩანაცვლებით თერაპიაში სუბლინგვურად (ენის ქვეშ) გამოიყენება. საქართველოში მას ინტრავენურად მოიხმარენ, რაც ისეთივე დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ფსიქიკასა და სხეულზე, როგორც სხვა ოპიატები (სუბუტექსი თავის ტვინის იმავე სტრუქტურებზე მოქმედებს, რომელზეც ოპიატები). მათი მიღება ექიმის სპეციალური დანიშნულების გარეშე ყოვლად დაუშვებელია და კანონით მკაცრად იკრძალება. ოპიოიდი ჰეროინი საერთოდ არ გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში, იგი არალეგალურ ნივთიერებად მიიჩნევა, ე.ი. მისი წარმოება, ყიდვა, გაყიდვა, მოხმარება და შენახვა აკრძალულია და ისჯება კანონით.

ოპიოიდების მოხმარების შედეგად ხშირად ვითარდება მწვავე მოწამლვა, („ნარკოტიკული კომა“), რომლის დროსაც დამახასიათებელია სუნთქვის შენელება ან არაბუნებრივი სუნთქვა, ლურჯი ფერის ტუჩები, ქინძისთავის ხელა გუგები, ფილტვების შეშუპება, გულის რითმის მოშლა. ხშირია სუნთქვის ცენტრის დათრგუნვა და ფილტვების ან ტვინის შეშუპება რაც სიკვდილით მთავრდება.

ჰალუცინოგენები (LSD , ექსტაზი და ა.შ) ახასიათებს, როგორც ჰალუცინოგენების, ასევე სტიმულატორებისათვის დამახასიათებელი თვისებები.

ჰალუცინოგენები ნიშნავს მოჩვენებების გამომწვევ ნივთიერებას. მოჩვენებები გარემოს პათოლოგიურად აღქმაა. ადამიანი „ხედავს“, „ისმენს“, „შეიგრძნობს“ ისეთ რამეს რაც სინამდვილეში არ ხდება. ეს ნივთიერებები არღვევენ ნერვული სისტემის ნორმალურ მუშაობას. მათ მიღებას მოჩვენებებთან ერთად, თან ახლავს უძილობა, კანკალი, მომატებული მაჯის ცემა, არტერიული წნევის ცვლილება, გამძაფრებული სმენა, ყნოსვა და მხედველობა, ეიფორია, უღონობა, თვალის გუგების გაფართოება, კოორდინაციის (წონასწორობის) დარღვევა.

ფართოდ გავრცელებულია მითი, რომ ექსტაზი არ არის ნარკოტიკული ნივთიერება და არ ვნებს ორგანიზმს.

გახსოვდეთ, რომ ექსტაზი არის ნარკოტიკი, რომლის მოხმარებაც, ისევე სახიფათოა, როგორც ყველა დანარჩენის.

LSD, ექსტაზისა და სხვა ჰალუცინოგენეიბს გამოყენება იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის და პერიფერიული ნერვული სისტემის, გულისა და სისხლძარღვების დაზიანებას, კიდურების პარალიზებას, ქრონიკულ ფსიქოზებს. შეუძლებელია ზუსტი წინასწარმეტყველება იმისა, თუ რომელ ადამიანზე როგორ იმოქმედებს ეს ნივთიერებები: ზოგიერთი პანიკაში ვარდება, სხვები აგრესიული ხდებიან და მათგან ნებისმიერი საქციელია მოსალოდნელი – ძლიერი აგზნება, უკონტროლო აგრესია, გარშემომყოფებზე თავდასხმა, თავის მოკვლის მცდელობა, არარსებული მდევნელისაგან უაზრო გაქცევა და სხვა.

გახსოვდეთ, ნარკოტიკული ნივთიერების ერთჯერადმა მოხმარებამაც კი შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი!

დაბოლოს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს:

1. ნებიმერი ნარკოტიკის ერთჯერადი მოხმარებისას, პლანი იქნება ეს, ექსტაზი თუ სხვა - არის ნარკომანად ჩამოყალიბების სერიოზული რისკი, რომ არაფერი ვთქვათ სისოცხლის საფრთხეზე!
2. ნარკომანია, ანუ ნარკულ ნივთიერებებზე მიჯაჭვულობა ქრონიკული დაავადებაა. იგი არ იკურნება! დიდი მონდომებისა და ძალისხმევის შემთხვევაში, ხანგრძლივი და მრავალმხრივი მკურნალობის შედეგად, შესაძლებელია სიფხიზლის პერიოდების — ე.წ. რემისიების გახანგრძლივების მიღწევა. ნარკომანი ქრონიკულად დაავადებული ადამიანია. მან მკურნალობის შედეგად, შეიძლება სიცოცხლის ბოლომდე მოახერხოს სიფხიზლის პერიოდის სენარჩუნება, მაგრამ ეს მაინც, რემისიაა და არა განკურნება!
3. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გადალახვაში უდიდეს როლს ასრულებს ღვთის რწმენა, ეკლესიური ცხოვრება. ის ადამიანები, რომლებიც დაადგდნენ სარწმუნოებრივ გზას, ხანგრძლივად ინარჩუნებენ სიფხიზლეს და მათი მდგომარეობიდან გამოსვლის შანსები მატულობს!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდთან არსებული ანტინარკოტიკული ცენტრი მუშაობს, როგორც ახალგაზრდებთან და მათ მშობლებთან, ნარკომანიის თავიდან აცილების საკითხებზე, აგრეთვე ეხმარება ნარკომანიით დაავადებულ ადამიანებს და მათ ახლობლებს ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის საქმეში.

საერთაშორისო მართმადიდებლური მოყალების ორგანიზაცია IOCC, ჩვენი ანტინარკოტიკული ცენტრი და ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“ ამერიკის მთავრობის USAID მხარდაჭერით ახორციელებს პროქტს „საქართვეოს ახალგაზრდობა ჯანსაღი მომავლისათვის“.

- აღნიშნული პროექტის ფარგლებში იბეჭდება წინამდებარე ბუკლეტი და ნარკომანიის პრობლემასთან დაკავშირებული სხვა საინფორმაციო მასალები
- თბილისის 7 საშუალო სკოლაში ჩამოყალიბდა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე მიმართული სულიერებაზე ორიენტირებული კლუბები
- ნარკომანიის თემაზე, მოძღვრებთან და სკოლის მასწავლებლებთან ტარდება ტრეინინგ-სემინარები.

IOCC და USAID დახმარებით მუშაობა გაგრძელდება და შეიძენს უფრო ფართო მასშტაბებს.

გავუფრთხილდეთ ჯანმრთელობას!

გვფარავდეს უფალი!

ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, სისუსტეს იჩენს და სახვადასხვა პრობლემისაგან თავის დახსნას ნარკოტიკებით ცდილობს, მაგრამ ეს ილუზიაა; ნარკოტიკები ცხოვრებას არ ცვლის, მისი ზემოქმედება გაივლის, პრობლემები კი ისევ რჩება და, რაც მთავარია, რჩება ამ ცოდვით დანგრეული, მიუსაფარი სული.

ნარკოტიკების მიღება ცოდვაა.

სრულიად საქართველოსა კათოლიკოს-პატრიარქი
უწმინდესი და უნეტარესი **ილია II**
(2002 საშობაო ეპისტოლე)

რა უნდა ვიცოდეთ ნარკოტიკების შესახებ

ნარკომანიის პრობლემა საქართველოს ერთ-ერთი უმძიმესი სატკივარია. ადამიანები სხვადასხვა მიზეზით იწყებენ ნარკოტიკების მოხმარებას. მათგან ერთ-ერთი – ნარკოტიკების მავნე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის დეფიციტია; აგრეთვე გავრცელებულია მითი „მძიმე“ და „მსუბუქი“ ნარკოტიკების შესახებ, რაც ხშირად ადამიანის საბედისწერო შეცდომის მიზეზი ხდება. ბევრი მიიჩნევს, რომ ესა თუ ის ნარკოტიკული ნივ-თიერება ნაკლებსაზიანოა და ამ ილუზიით ეფლობა ნარკომანიის მორევში.

ჩვენი საინფორმაციო ბუკლეტის მიზანია გასაგები ენით, მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივაწოდოთ მოზარდებსა და ზრდასრულებს ხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
საერთაშორისო ფონდის
ანტინარკოტიკული ცენტრის ხელმძღვანელი,
ფსიქოლოგიის დოქტორი ***თეა გოგოტიშვილი***

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის ანტინარკოტიკული ცენტრი

IOCC

USAID
ამერიკელი ხალხისგან

მარიხუანა (პლანი, ანაშა, ჰაშიში, კანაფი, კანაბისი,)

შეიძლება გსმენიათ რომ ეს არის მცენარე, ბალახი, სარეველა, მაგრამ მარიხუანა ამ ყველაფერთან ერთად არის ნარკოტიკული ნივთიერება. მარიხუანა გამომშრალი კანაფის (კანაბისის) ფოთოლია, რომელიც ზემოქმედებს თავის ტვინზე.

იცით, რომ ადამიანი, რომელიც მოიხმარს მარიხუანას კარგავს კონტროლს მის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე? სხვადასხვა ადამიანზე ეს ნივთიერება განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს. იგი „ურტყამს“ თავის ტვინის იმ ნაწილს, რომელიც აკონტროლებს მეხსიერებას, ემოციებსა და განსჯას. ის აგრეთვე არღვევს თავის ტვინის იმ უბნების მოქმედებას, რომელიც კოორდინაციას განაგებს, რაც იწვევს მოძრაობის დარღვევას და ქმნის ავტოავარიების მაღალ რისკს. ის, რომ „პლანის“ ერთჯერადმა მოწევამ შეიძლება ვინმესთვის უპრობლემოდ ჩაიაროს, არ ნიშნავს, რომ მისი მოხმარება არ ქმნის სერიოზულ რისკს. ერთმა მოწევამაც კი, შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოზისმაგვარი მდგომარეობა, კერძოდ მხედველობითი და სმენითი მოჩვენებები და შიშები.

გახსოვდეთ, რომ „პლანის“ მოწევა იწვევს პრაქტიკულად განუკურნებელ ფსიქიკურ აშლილობებს (სულიერ დაავადებებს), როგორიცაა „ჰაშიშური ფსიქოზი“ ხელს უწყობს შიზოფრენიის განვითარებას. „პლანის“ მოხმარება ცენტრალური ნერვული სისტემის, კერძოდ კი – თავის ტვინის შეუქცევად ცვლილებებს იწვევს, განსაკუთრებით მოზარდებში. ამ ცვლილებების ზეგავლენით ქვეითდება მეხსიერება, ყურადღების კონცენტრაციის უნარი, მცირდება თავის ტვინის უჯრედების რაოდენობა, რომელიც მონაწილეობს აზროვნების ყველა პროცესში, ხდება აზროვნების შენელება, აღქმის მოშლა. თავს იჩენს ჭკუასუსტობის ნიშნები.

დროში გახანგრძლივებული მოხმარება მამაკაცებში პოტენციის დაქვეითებას იწვევს.

მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანის სიმპტომებია:

თვალების ლორწოვანი გარსის გაწითლებაბ, ანთება, გუგების გაფართოება, გულისცემის აჩქარება, მომატებული არტერიული წნევა, მოდუნება, გადაადგილების შენელება და მოძრაობის დარღვევა, თავის ტკივილი, სხეულის ტემპერატურის ცვალებადობა, თავბრუხვევა, გულისრევის შეგრძნება, შიმშილის გრძნობა, გონებრივი და ფიზიკური აქტივობის დარღვევა, უაზროდ ბევრი ლაპარაკი, ეიფორია, შფოთვა და ღელვა მონაცვლეობით ინდიფერენტიზმთან (განურჩევლობასთან), არანორმალური ქცევა, დროისა და სივრცის შეგრძნების დარღვევა, სმენისა და მხედველობის პათოლოგიური შეცვლა, მოჩვენებები.

აქროლადი საინჰალაციო საშუალებები (ორგანული გამხსნელები)

მათი მოხმარება ნარკოტიკული თრობის გამოწვევის მიზნით, ნარკოდამოკიდებულების უმძიმეს ფორმას იწვევს. აქროლად გამხსნელებს ნერვულ სისტემაზე ძლიერი ტოქსიკური (მომწამვლელი) ზემოქმედება ახასიათებთ, რის გამოც ხშირად ამ ნივთიერებებს ტოქსიკურს, ხოლო მათ მოხმარებას – ტოქსიკომანიას უწოდებენ. საინჰალაციო საშუალებებს განეკუთვნება სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის აქროლადი ორგანული გამხსნელები, რომელიც შედის წებოების, საღებავების, პესტიციდების, აეროზოლების, ლაქების ამომყვანი სითხეების, საწვავი სითხეების და სხვათა შემადგენლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სიიაფისა და ადვილად ხელმისაწვდომობის გამო აქროლადი გამხსნელების მომხმარებლები ძირითადად მშობლების მზრუნველობას მოკლებული, ე.წ. „ქუჩის ბავშვები“.

საინჰალაციო საშუალებების მოხმარება აზროვნების, მეხსიერების და აღქმის პროცესების ძლიერ დარღვევებსა და ჭკუასუსტობას იწვევს.

საინჰალაციო საშუალებების პირველივე შესუნთქვისთანავე აღინიშნება: მოჩვენებები, პირღებინება, თავის ტკივილი, გულის მუშაობის დარღვევა, სისხლდენა, ფსიქიკური შლილობა; შესაძლოა განვითარდეს სუნთქვის მოშლა, რომელიც ხშირად სიკვდილით მთავრდება.

გახსოვდეთ, რომ აქროლადი გამხსნელების ერთჯერადი მიღებაც კი შეიძლება უეცარი სიკვდილით დასრულდეს.

სტიმულატორები (კოკაინი, ეფედრინი, ამფეტამინი, დღეს გავრცელებული კოქტეილები ე.წ. „ვინტი“, „ჯეფი“)

სტიმულატორები მოქმედებენ ძირითადად ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემებზე და იწვევენ მათ აგზნებას.

სტიმულატორები ქიმიურად ძალიან აქტიური ნივთიერებებია. იოლად არის შესაძლებელი მათი სიცოცხლისათვის უსაფრთხო დოზიხ გადაჭარბება და მწვავე მოწამლვის განვითარება. ამ დროს აღინიშნება ძლიერი მოუსვენრობა შფოთვითა და გაღიზიანებადობით, უძილობა, აუტანელი თავის ტკივილი, გულისცემის და არტერიული წნევის მატება, უძილობა, სუნთქვის გახშირება, სხეულის ტემპერატურის მკვეთრი მატება (41 °C), ხშირად აღინიშნება კრუნჩხვები. სიკვდილი შეიძლება გამოწვეული იყოს ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლით, გულის არითმიით, სხეულის გაუწყლოებით და გადახურებით.

სტიმულატორების ქრონიკული მოხმარებისას ვითარდება მთელი რიგი ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანებანი: ყველაზე ხშირად ვითარდება ფსიქიკური აშლილობანი – ძლიერი დეპრესია, პანიკური და მანიაკალური მდგომარეობანი, ფსიქოზური – შიზოფრენიული სიმპტომები. აღსანიშნავია, რომ ფსიქოზური რეაქციები შეიძლება ერთჯერადი მოხმარებითაც განვითარდეს. დღეს გავრცელებული შედარებით იაფფასიანი ნარკოტიკული კოქტეილები, რომლებიც შეიცავენ კალიუმის პერმანგანატის ხსნარს (ე.წ მარგანცოვკას), ყველა ზემოთჩამოთვლილ ფსიქიკურ და ფიზიკურ დაზიანებებთან ერთად ახასიათებთ პარკინსონის დაავადების მაგვარი მდგომარეობების განვითარება (ალბათ, ყველას გინახავთ მოხუცებული ადამიანები, რომლებსაც ხელები უკანკალებთ).

სტიმულატორების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანის სიმპტომებია:

უმადობა, უძილობა, თავბრუსხვევა, გაღიზიანებადობა, პანიკა, ეიფორია, ემოციური და ფიზიკური აგზნება, უაზრო გადაჭარბებული მოძრაობა, უკონტროლო აგრესია, რომელსაც მოყვება როგორც სხვისი, ასევე საკუთარი თავის დაუნდობლობა, ფიზიკური ზიანის მიყენება და სიცოცხლის ხელყოფაც კი.

დეპრესანტები (ტრანკვილიზატორები, ანუ დამამშვიდებ-ლები, ბარბიტურატები, საძილე საშუალებები).

საჭიროების შემთხვევაში ექიმები ავადმყოფებს უნიშნავენ ტრანკვილიზატორებს (დამამშვიდებელ საშუალებებს). ზოგიერთი ფიქრობს, რომ მათი მიღება უსაფრთხოა და თვითნებურად არის შესაძლებელი. ექიმი გარკვეული ვადით ნიშნავს ამა თუ იმ დამამ-შვიდებელ საშუალებას, ვინაიდან ხანგრძლივი გამოყენება მათზე მიჯაჭვულობას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ ამ პრეპარატებზე დამოკიდებულ პირებს გამოხატული აქვთ: უმძიმესი „აღკვეთის სინდრომი“ („ლომკა“) გაუსაძლისი ტკივილებით; გულყრები, მეხსიერებისა და ყურადღების მკვეთრი დეფექტი, გაღიზიანებადობა, აგრესიულობა, ძლიერი დეპრესია ზოგჯერ თვითმკვლელობის მცდელობით, ძლიერი ფსიქიკური აშლილობა, მეტყველების შენელება და გაღარიბება, აზროვნების დაქვეითება, რაც შესაძლოა ჭკუასუსტობით დამთავრდეს.

გახსოვედეთ, რომ საძილე და დამამშვიდებელი ნივ-თიერებების მაღალი დოზები ერთჯერადი მოხმარების-თვისაც ძალიან სახიფათოა. მათ შესაძლოა გამოიწვიონ სუნთქვისა და გულის მამოძრავებელი ცენტრების დათრგუნვა, კომა და სიკვდილი.

ოპიოიდები (მორფიუმი, ჰეროინი, კოდეინი და სხვ.) სუბუტექსი

ეს ის ნივთიერებებია, რომლებიც ოპიუმისაგან მიიღება ან სინთეზურად მზადდება და იგივე თვისებებით ხასიათდება, როგორითაც ბუნებრივი ოპიატები.

ოპოიდებს ხშირად ნარკოტიკულ ტკივილგამაყუჩებლებსაც უწოდებენ. როდესაც სხვა გამაყუჩებლები აღარ მოქმედებს, მათი უმრავლესობა გამოიყენება ტკივილის მოსახსნელად.

მაგალითად, სიმსივნური დაავადების (კიბოს) ბოლო სტადიაში.

მსოფლიოში ყოველ 20 წუთში ნარკოტიკებისაგან 1 ადამიანი იღუპება!